ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება № 1863

31 დეკემბერი 2021 ნ.

ანათ მარომის, ასევე იოპევედ კროუზმანის, სარა კაპლანის და ჰავა შანის მინდობილი პირის, ანათ მარომის წარმომადგენლის, ზურაბ ვანიშვილის ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე

2021 წლის 26 ნოემბერს ანათ მარომის, ასევე იოპევედ კროუზმანის, სარა კაპლანის და ჰავა შანის მინდობილი პირის, ანათ მარომის წარმომადგენლის, ზურაბ ვანიშვილის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილ იქნა №19-0121330366-01 ადმინისტრაციული საჩივარი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის (შემდგომში - „მუნიციპალური ინსპექცია") 2021 წლის 18 მაისის №001082 დადგენილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად, ადმინისტრაციულ საჩივარზე გარემოებათა გამოკვლევისა და დაინტერესებულ მხარეთა მიერ მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით, 2021 წლის 16, 20 და 28 დეკემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა ზეპირი მოსმენის სხდომები, რომლებზეც გამოცხადდნენ საჩივრის ავტორების ანათ მარომის, იოპევედ კროუზმანის, სარა კაპლანის და ჰავა შანის მინდობილი პირი ანათ მარომი და მისი წარმომადგენელი, ზურაბ ვანიშვილი, ასევე მოწინააღმდეგე მხარის, მუნიციპალური ინსპექციის წარმომადგენელი, მარიამ გამხუაშვილი.

წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარში აღნიშნულია, რომ მუნიციპალურმა ინსპექციამ არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რის გამოც არსებობს მუნიციპალური ინსპექციის 2021 წლის 18 მაისის №001082 დადგენილების ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომაზე საჩივრის ავტორი დაეთანხმა წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება.

მოწინააღმდეგე მხარის, მუნიციპალური ინსპექციის წარმომადგენელი არ დაეთანხმა წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს და განმარტა, რომ გასაჩივრებული

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200



ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი. მაშასადამე, რომ წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად, ვინაიდან გასულია კანონმდებლობით დადგენილი გასაჩივრების ვადა.

მოცემულ საქმეზე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების მოსმენის, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, წარმოდგენილი საქმის მასალების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად გამოკვლევის შემდეგ, ადმინისტრაციული ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი განუხილველი უნდა დარჩეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

უდავო გარემოებაა, რომ მუნიციპალური ინსპექციის 2021 წლის 18 მაისის №001082 დადგენილებით ანათ მარომი, იოსებიდან ქროებზანი, სარა კაპლანი და სიგა მაზი დაჯარიმდნენ 10 000 (ათი ათასი) ლარით ქ. თბილისში, აბაღლების ქ. №26, 01.15.05.091.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის.

საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით მოქმედი ადმინისტრაციული წარმოების წარგლებში, პირველ რიგში, ხდება იმ საკითხის დადგენა, საჩივარი წარდგენილია თუ არა კანონით განსაზღვრულ ვადაში და უფლებამოსილი პირის მიერ, რის შემდეგაც ხდება საქმის გარემოებათა არსებითი გამოკვლევა და მხარეთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი". ამავე კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი".

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთანავე, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას მშენებლობის ან დემონტაჟის შეჩერების ნაწილში". ამავე კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდამრღვევისათვის მითითების, შეწყვეტის აქტის, დადგენილების ან უფლების გაცნობა უნდა მოხდეს ოფიციალურად, სამშენებლო ობიექტზე. თუ სამშენებლო სამართალდამრღვევი არ იმყოფება სამშენებლო ობიექტზე ან უარს აცხადებს შესაბამისი აქტის/აქტების გაცნობაზე, გაცნობად ჩაითვლება აქტის/აქტების სამშენებლო ობიექტის

თვალსაჩინო ადგილზე განთავსება". ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნებისთვის სამშენებლო ობიექტის თვალსაჩინო ადგილად ჩაითვლება: ა) საინფორმაციო დაფა; ბ) სამშენებლო ტერიტორიაზე დროებით განთავსებული შენობა; გ) სამშენებლო ტერიტორიის შემომფარგლავი უსაფრთხოების ღობე; დ) სამშენებლო ობიექტის ფასადი; ე) მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე მშენებლობის განხორციელების შემთხვევაში – აგრეთვე საცხოვრებელი სახლის შესასვლელი კარი.

საქმის მასალებში არსებული დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ ვინაიდან ანათ მარომი, იოჰევედ კროუზმანი, სარა კაპლანი და ჰავა შანი არ იმყოფებოდნენ ქ. თბილისში, ამაღლების ქ. №26, 01.15.05.091.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ სამშენებლო ობიექტზე (სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი) და მათთვის მუნიციპალური ინსპექციის 2021 წლის 18 მაისის №001082 დადგენილების პირადად ჩაბარება ვერ განხორციელდა, ამასთან, ვერ მოხერხდა ანათ მარომის წარმომადგენელთან, ზურაბ ვანიშვილთან დაკავშირება, აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, 2021 წლის 4 ივნისს განთავსდა ქ. თბილისში, ამაღლების ქ. №26, 01.15.05.091.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე - სამშენებლო ღობეზე, რაც კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სამართალდამრღვევისათვის აქტის გაცნობად ითვლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო აქტის კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადის ათვლაც სწორედ დადგენილების ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე გაკვრის თარიღიდან უნდა განხორციელდეს. გამომდინარე იქიდან, რომ ანათ მარომის, ასევე იოჰევედ კროუზმანის, სარა კაპლანის და ჰავა შანის მინდობილი პირის, ანათ მარომის წარმომადგენელმა, ზურაბ ვანიშვილმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში №19/0121330366-01 ადმინისტრაციული საჩივარი მუნიციპალური ინსპექციის 2021 წლის 18 მაისის №001082 დადგენილების ბათილად ცნობის მოთხოვნით წარმოადგინა 2021 წლის 26 ნოემბერს, მათ მიერ გაშვებულია ხსენებული დადგენილების გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი 15 დღიანი ვადა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გაშვების შემთხვევაში იგი უნდა აღდგეს, თუ ამ ვადის გაშვება მოხდა დაუძლეველი ძალის ან სხვა საპატიო მიზეზით".

მოცემულ შემთხვევაში საჩივრის აეტორთა წარმომადგენლის მიერ არ მომხდარა რაიმე საპატიო მიზეზის დასახელება, რის გამოც მათ ვერ შეძლეს კანონით დადგენილ ვადაში ადმინისტრაციული საჩივრის წარმოდგენა. აქედან გამომდინარე, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ასკვნის, რომ სადავო აქტის გასაჩივრების ვადა არ უნდა იქნას აღდგენილი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ

საჩივარს, თუ გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა".

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ ვინაიდან, გასულია საჩივრის აკტორთა მიერ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა, სახეზეა წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების სამართლებრივი საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის I, IV, VI, XIII თავების, 180-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების, 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტისა და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ბრძანებს:

1. განუხილველი დარჩეს ანათ მარომის, ასევე იოჰევედ კროუზმანის, სარა კაპლანის და ჰავა შანის მინდობილი პირის, ანათ მარომის წარმომადგენლის, ზურაბ ვანიშვილის 2021 წლის 26 ნოემბრის №19-0121330366-01 ადმინისტრაციული საჩივარი.
2. ბრძანების ასლები გადაეგზავნოთ დაინტერესებულ მხარეებს.
3. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება, დაინტერესებული პირების მიერ, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) _____ ირაკლი ხმალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

იურიდიული საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: 10-01220262848
თარიღი: 26/01/2022
პინი: 1003

აფრესატი: ზურაბ ვანიშვილი
პირადი ნომერი: 59001013409
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ფაფა-ფშაველის გამზირის 51 კვარტალი, კორპუსი 12, ბინა 159

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

გ ზ ა ვ ნ ი ლ ი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად გეგზავნებათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში თქვენ მიერ შემოტანილ №19-0121330366-01 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის 2021 წლის 31 დეკემბრის №1863 ბრძანების სახით.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი

პატივისცემით,

დავით ფოცხვერაია

ეურიდიული საქალაქო სამსახური-ადმინისტრაციული დავების განხილვისა და სამართლებრივი აქტების მომზადების განყოფილება-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ზელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

საქართველო, თბილისი, 0160, გ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 237 85 50